



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

28 ნოემბერი 2014 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ამირან ხუციშვილის საჩივარი, ბრალდებულ ზ.ბ.-ს მიმართ წინასასამართლო სხდომაზე, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისა და მის საფუძველზე ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამოტანილ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის 2014 წლის 19 ივლისის განჩინებაზე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

2014 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #XXXXXXXXXXXX საქმეზე, ბრალდებულების - ზ. თ-ს ძე ბ-ს (დაბ. XXXX წლის XX ივლისს, პ/ნ XXXXXXXXXXX) და ვ. ი-ს ძე ა-ს (დაბ. XXXX წლის XX ივნისს, პ/ნ XXXXXXXXXXX) მიმართ.

აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლის 28 სექტემბერს, ზ.ბ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 273-ე მუხლით, ხოლო ვ.ა.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (იხ.: დადგენილებები პირის ბრალდების შესახებ).

საქმის მასალების მიხედვით, 2014 წლის 26 სექტემბერს დაახლოებით 20:15 საათზე, თბილისში ვ.-ს დასახლებაში, მე-X მასივის, ზ. პ.-ს „X“ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნენ ვ.ა. და ზ.ბ, მათ მიერ პოლიციელზე თავდასხმის (ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების) ფაქტზე, რაც დაკავშირებული იყო პოლიციელის სამსახურებრივი საქმიანობასთან. ამასთან, ზ.ბ.-ს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების - ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) და ფსიქოტროპული ნივთიერების - ბენზოდიაზეპინების ჯგუფის, მოხმარების ფაქტი.

2014 წლის 19 ნოემბერს, წინასასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის მიერ, ადგილზე თათბირით, საოქმო განჩინებით, ზ.ბ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების - ზ.ბ.-ს და ვ.ა.-ს მიმართ, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 353¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაინიშნა საქმის არსებითი განხილვა 2014 წლის 02 დეკემბერს 13 საათზე.

ზემოაღნიშნული განჩინება, 2014 წლის 24 ნოემბერს, **ბრალდებულ ზ.ბ.-ს** მიმართ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ამირან ხუციშვილმა, რომელიც ითხოვს სასამართლოს მიერ, ბრალდების მხარის მტკიცებულების - **ზ.ბ.-ს** ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნისა და ექსპერტ **თ.კ.-ს** დაკითხვის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, აგრეთვე მის საფუძველზე გამოტანილი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გაუქმებას.

საჩივარი და საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მიღებული იქნა 2014 წლის 27 ნოემბერს.

საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილება არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის გამოყენებითაც დგინდება ექსპერტიზის დასკვნის ავთენტურობა. საქართველოს სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით, ხოლო ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარდა ბრალდებულ **ზ.ბ.-ს** ნარკოლოგიური შემოწმება. კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა შს სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების გამომძიებელ გიორგი ყველაშვილის 2014 წლის 27 სექტემბრის #XXXXXX წერილი, რომლის თანახმადაც გამომძიებელი ითხოვს **ზ.ბ.-ს** ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას. ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი **ზ.ბ.-ს** ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნა აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს და შესაბამისად, არ არსებობდა მისი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ასევე, არ არსებობდა არავითარი საფუძველი ექსპერტ **თ.კ.-ს** სასამართლოში დასაკითხ პირთა სიიდან ამოღებაზე. ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტ **თ.კ.-ს** ჩვენება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ **ზ.ბ.-მ** ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდების მხარის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული საჩივრის ავტორის პოზიცია და არგუმენტები. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში, საგამოძიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, ხოლო მე-5 ნაწილის შესაბამისად, არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. ამასთან, ამავე მუხლის მე-6 ნაწილი მიუთითებს, რომ თუ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვებლად სცნო **ზ.ბ.-ს** მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებასთან დაკავშირებით წარდგენილი ნარკოლოგიური

ექსპერტიზის დასკვნა, რის შემდეგაც ფაქტიურად საქმეში აღარ არსებობდა რაიმე ისეთი მტკიცებულება რაც ზემოაღნიშნულ ბრალდებაში ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტის დადასტურების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო.

სხდომის ოქმის მიხედვით, ბრალდების მხარემ მოხსნა შუამდგომლობა და **ზ.ბ.-ს** მიმართ სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების სიიდან ამოიღო ნარკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაზე მითითება, ვინაიდან აღნიშნული დადგენილება არ იყო წარმოდგენილი და განმარტა, რომ ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნის ავთენტურობა დასტურდებოდა საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსადმი გამომძიებლის მიმართებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ბრალდებულ **ზ.ბ.-ს** ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ავთენტურობა, კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ნარკოლოგიური დასკვნის გაცემის საფუძველია დადგენილება ნარკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომელიც არ არის წარმოდგენილი სასამართლოსთვის, შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს ნამდვილად არსებობდა თუ არა დადგენილება და რამდენად კანონიერად მოხდა აღნიშნული მტკიცებულების მოპოვება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ნარკოლოგიური დასკვნის დაშვების სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნული არ იქნა დაშვებული, როგორც მტკიცებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ უარი უთხრა ბრალდების მხარეს მითითებული მტკიცებულების ავთენტურობასთან დაკავშირებით დასაკითხ პირთა სიაში ექსპერტ-ნარკოლოგ **თ.კ.-ს** დამტკიცების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მხარე ვალდებულია ადასტუროს საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობა. ხოლო, მოცემულ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ დარღვეულია ექსპერტიზის დანიშვნის წესი, არ არის წარმოდგენილი დადგენილება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სსსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად მოხდა ექსპერტიზის დანიშვნა. ასევე არ დასტურდება ამ მტკიცებულების წარმომავლობა, ის, რომ დადგენილების საფუძველზე მოხდა ამ ექსპერტიზის დასკვნის გაცემა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებული დადგენილების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება არ შეიძლება დაშვებულ იქნას სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც კანონის დაცვით მოპოვებული და მოცემულ საქმეზე **ზ.ბ.-ს** მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ბრალდებასთან დაკავშირებით, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #XXXXXXX (XX.XX.XXXX) სცნო დაუშვებლად და აღნიშნულიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება დასაკითხ პირთა სიაში ექსპერტ-ნარკოლოგ **თ.კ.-ს** დამტკიცებასთან დაკავშირებით (და არა ექსპერტ **თ.კ.-ს** დაკითხვის დაუშვებლად ცნობის შესახებ, როგორც ეს მითითებულია ბრალდების მხარის საჩივარში) ბრალდების მხარისათვის უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული ბრალდების ნაწილში აღარ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ალბათობის მაღალი ხარისხით იქნებოდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ **ზ.ბ.-მ** ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თანახმად, თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტი, ხოლო ამ კოდექსით დადგენილი წესით გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად კი, ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, **რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით**, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ.

საკითხის განხილვის დროს, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველია ექსპერტიზის ჩატარების შესახებ **გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება** და დაცვის მხარის მიმართვა, **რომელიც სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისათვის და იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია.** ამავე დროს, თუ საგამომიებო მოქმედების

ჩატარების საფუძველია **გამომძიებლის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება**, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, **გამომძიებელი მას აცნობს იმ პირს, რომლისთვისაც დადგენილების (განჩინების) შესრულება სავალდებულოა**, რასაც იგი ადასტურებს ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა **ზ.ბ.-ს** მიმართ ნარკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ დადგენილება, უფრო მეტიც საქმის მასალების მიხედვით არ დგინდება ნარკოლოგიური ექსპერტიზა კონკრეტულ შემთხვევაში ჩატარდა თუ არა გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ გამომძიებლის მიმართვა ექსპერტიზის ჩასატარებლად დადგენილების გაგზავნის შესახებ, თუმცა არც მიმართვაშია აღნიშნული და არც მიმართვას ან ექსპერტიზის დასკვნას არ ერთვის გამომძიებლის დადგენილება, რაც შეიძლება გამბდარიყო ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი. ამდენად, გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ექსპერტიზის ჩატარება დაუშვებელია, ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს მხოლოდ ექსპერტიზისადმი ადვოკატის მიმართვის შემთხვევაში, ხოლო გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ექსპერტიზის დანიშვნისათვის აუცილებლად მიიჩნევა დადგენილების გამოტანას. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში აღნიშნული დადგენილება წარმოდგენილი არ ყოფილა, ვერ დასტურდება ამ შემთხვევაში ექსპერტიზის გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ჩატარების ფაქტი, რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას და ეჭვ ქვეშ აყენებს ექსპერტიზის ჩატარების კანონიერებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების (ამ შემთხვევაში მისი დასაშვებობის მიზნით კანონიერების საკითხის გარკვევის) დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე საგამომძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, რომ ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელი იყო ამ შემთხვევაში გამომძიებლის დადგენილება და მისი სასამართლოსთვის წარდგენა, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა ექსპერტიზის ჩატარების კანონიერება და ავთენტურობა, ვინაიდან აღნიშნულის სხვა წესით დადასტურება მითუმეტეს მიმართვის გზით შეუძლებელია, რადგან კანონის იმპერატიული მოთხოვნაა ექსპერტიზის გამომძიებლის მიერ მხოლოდ დადგენილების საფუძველზე ჩატარება და მიმართვა ვერ შეცვლის ამ დადგენილებას.

რაც შეეხება საჩივარში ბრალდების მხარის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებას, რომ ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით და ეს ინიციატივა დასტურდება გამომძიებლის მიმართვით, საგამომძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ იმავე მითითებულ მუხლს აქვს სხვა დანაწესიც, მუხლის კონკრეტული დანაწესი არ შეიძლება გავიგოთ განცალკევებულად, რადგან მითითებული ინიციატივის გამოხატვა შემდეგ კონკრეტდება იმავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში თუ რა ფორმით უნდა გამოიხატოს იგი და აქ კანონმდებელი აწესებს გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის ვალდებულებას, რაშიც უნდა გამოიხატოს მისი ინიციატივა, რომელიც შემდგომ დადასტურებს ექსპერტიზის ჩატარების კანონიერებას და ავთენტურობას.

საგულისხმოა, ისიც, რომ როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილი ავალდებულებს გამომძიებელს **გააცნოს დადგენილება იმ პირს, რომლისთვისაც დადგენილების (განჩინების) შესრულება სავალდებულოა**, რასაც ეს პირი ადასტურებს ხელმოწერით. ხოლო, 144-ე მუხლის მე-4 ნაწილით **გამომძიებლის დადგენილების შესრულება სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია**. ამ შემთხვევაში კი **ზ.ბ.-ს**, რომელსაც ჩაუტარდა ნარკოლოგიური ექსპერტიზა და ფაქტიურად საექსპერტო კვლევის ობიექტი გახდა, არ დასტურდება საქმის მასალებით, რომ გამომძიებელმა მას გააცნო შესაბამისი დადგენილება, აღნიშნულის

შესახებ ბრალდებულის მიერ ხელმოწერა და დადასტურება საქმეში არ მოიპოვება, რაც ამყარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ საერთოდ საექვო იყო ბუნებაში მითითებული დადგენილების არსებობაც კი.

ბრალდების მხარის მიერ საჩივარში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებასთან დაკავშირებით კი საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს მხოლოდ საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, თუ რა უნდა მიეთითოს ექსპერტის დასკვნაში, რაც ვერცერთ შემთხვევაში ვერ დაადასტურებს ექსპერტიზის ჩატარების კანონიერებას.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და საქმის მასალების გაანალიზების შედეგად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზ.ბ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, გამოტანილია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები შეფასებულია სწორად და კონკრეტულ საკითხზე არსებითად გამოტანილია მართლზომიერი გადაწყვეტილება, რომელიც სრულად ესადაგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებსა და პრინციპებს და გამომდინარეობს კანონის ზემოთ მითითებული ნორმების მოთხოვნებიდან.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-208-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ამირან ხუციშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის 2014 წლის 15 ნოემბრის განჩინება, წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულ ზ.ბ.-ს მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;
3. განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.